

ქართული საფინანსო ტერმინოლოგიის პრობლემები

გიორგი ოქროპირიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.okropiridze.4@iliauni.edu.ge

აბსტრაქტი

ენა დინამიკური სისტემაა, რომელიც საზოგადოების ცვლილებებს პირდაპირ ასახავს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა დარგობრივ ტერმინოლოგიაში, სადაც გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების ფონზე მუდმივად ჩნდება ახალი ცნებები. ქართული საფინანსო ტერმინოლოგია ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: საბჭოთა გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო სისტემაზე გადასვლამ, შემდეგ კი დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციამ ტერმინოლოგიაზე ღრმა კვალი დატოვა. ამდენად, ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა შესაძლებლობა, რომ შეგვემოწმებინა უცხო ენების გავლენა და ასევე მათგან დამოუკიდებელი უარყოფითი პროცესები დარგობრივ ტერმინოლოგიაზე.

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს თანამედროვე ქართული საფინანსო ტერმინოლოგიის ძირითად პრობლემებს. კვლევა აჩვენებს, რომ დარგი ღღეს ტერმინოლოგიური სიჭრელის, შეუთანხმებლობისა და სტანდარტიზაციის სერიოზული ხარვეზების წინაშე დგას: ერთი და იგივე ცნებისთვის ხშირად რამდენიმე პარალელური ფორმა გვხვდება; ხშირად არ არის დაცული ტრანსლიტერაციის დადგენილი ნორმები; ზოგჯერ უგულებელყოფილია ქართული ენის მორფოლოგია; უცხოური ტერმინები კი ნასესხებია მაშინაც კი, როდესაც ქართული შესატყვისი სრულიად ადეკვატური იქნებოდა.

კვლევაში გამოყენებულია პარალელური კორპუსის პლატფორმა და თანამედროვე ტერმინოლოგიური ინსტრუმენტი SynchroTerm, რომელიც ორენოვანი კორპუსის ბაზაზე ტერმინთა ავტომატურ ამოღებას უზრუნველყოფს. მიღებული შედეგები ადასტურებს სისტემური ტერმინოლოგიური მუშაობის გადაუდებელ აუცილებლობას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ფინანსები, ტერმინოლოგია, საფინანსო ტერმინები, ლექსიკოგრაფია, ნეოლოგიზმები, სესხება, ტრანსლიტერაცია, ტერმინთმემოქმედება

Problems of Georgian Financial Terminology

Giorgi Okropiridze
Ilia State University
giorgi.okropiridze.4@iliauni.edu.ge

Abstract

Language is a dynamic system that directly reflects societal change. This is particularly evident in specialized terminology, where new concepts continuously emerge against the backdrop of globalization and technological advancement. Georgian financial terminology deserves special attention in this regard: the transition from the Soviet planned economy to a market system, followed by integration with the Western world, left a profound mark on the terminological landscape. It therefore seemed worthwhile to examine both the influence of foreign languages on specialized terminology and the negative processes that occur independently of such influence.

The present paper investigates the key problems of contemporary Georgian financial terminology. The research demonstrates that the field today faces serious challenges of terminological inconsistency, lack of standardization, and uncoordinated practice: multiple parallel forms are frequently found for the same concept; established transliteration norms are often disregarded; the morphological rules of the Georgian language are sometimes ignored; and foreign terms are borrowed even in cases where a Georgian equivalent would be perfectly adequate.

The study employs the parallel corpus platform and modern terminological tool SynchroTerm, which enables the automatic extraction of terms from a bilingual corpus. The findings confirm the urgent need for systematic and coordinated terminological work in Georgia.

Keywords: finances, terminology, financial terms, lexicography, neologisms, borrowing, transliteration, term formation

1 შესავალი

ენა დინამიკური სისტემაა, რომელიც მუდმივად ვითარდება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად. განსაკუთრებით აქტიური ცვლილებები / სიახლეები გვხვდება დარგობრივ ტერმინოლოგიაში, მათ შორის საფინანსო სფეროში, სადაც გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესისა და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების პირობებში ჩნდება ახალი ცნებები და მათი ენობრივი ასახვის საჭიროება, რაც ქართული საფინანსო ტერმინოლოგიის კვლევას კომპლექსურ პროცესად აქცევს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქართულმა ეკონომიკამ განიცადა რადიკალური ტრანსფორმაცია: საბჭოთა გეგმიური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდა, ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიკური ინსტიტუციები, მიმდინარეობს საერთაშორისო საფინანსო სისტემებთან ინტეგრაცია. ყოველივე ეს უშუალო გავლენას ახდენს ენის ტერმინოლოგიურ მხარეზე.

მეცნიერული კვლევის აუცილებლობა განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით. პირველ რიგში, სახეზეა საფინანსო ტერმინოლოგიის ქაოსური განვითარება, რაც გამოიხატება ტერმინთა არაერთგვაროვნებაში, უცხოური სიტყვების უსისტემო შემოჭრაში და ხშირად ქართული ენისათვის არაბუნებრივი საკომუნიკაციო მოდელების დამკვიდრებაში. კერძოდ, თანამედროვე ქართულ საბანკო, საფინანსო და ეკონომიკურ ტექსტებში (არა მხოლოდ დოკუმენტებში, არამედ დარგობრივ საინფორმაციო საშუალებებში, ვიდეორგოლებში, სტატიებში და ა. შ.) ხშირად გვხვდება ტერმინოლოგიური სიჭრელე: ერთი და იგივე ცნება შეიძლება რამდენიმენაირად იქნეს გადმოცემული, ახალი საფინანსო ცნებების აღსანიშნავად იყენებენ როგორც უშუალო ნასესხობებს (დამახინჯებული ტრანსლიტერაციის გზით), ისე მექანიკურად თარგმნილ კონსტრუქციებს, რაც ზოგჯერ შესაძლოა არ იყოს ბუნებრივი და აღვილად აღსაქმელი.

საქართველოში ტერმინოლოგიური პრობლემების შესახებ ბევრი მეცნიერი წერს, განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში (2014 წლიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოიცემა სტატიათა კრებული „ტერმინოლოგიის საკითხები“). ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ომების, არეულობისა და ანარქიის პირობებში მოიშალა ან შეფერხდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი და მათ შორის ენობრივ პოლიტიკასთან დაკავშირებული უწყების საქმიანობა. ენობრივ პოლიტიკაზე, ტერმინოლოგიასა და ენის ფუნქციონირებაზე ეფექტური ზემოქმედების მომხდენი ინსტიტუციის არარსებობის შედეგად წარმოიშვა უამრავი პრობლემა: ენაში ქაოსურად შემოვიდა უცხოური ტერმინოლოგია, სხვადასხვა დარგში ერთი და იგივე ცნებების აღსანიშნავად გაჩნდა განსხვავებული ტერმინები, ხშირად უგულებელყოფილი იყო ქართული ენის ნორმები და ტრადიციები.

2 ლიტერატურის მიმოხილვა

პოსტსაბჭოთა ეპოქაში მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი, გაუქმდა ენის სახელმწიფო კომისია, დაირღვა ცენტრალიზებული სტრუქტურა, არ მოხდა ტერმინოლოგიის ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა, ძველი რუსულ-ქართული და ახალი ინგლისურ-ქართული ტერმინების ჰარმონიზაცია, ლექსიკონები ხშირად იქმნე-

ბოდა შეუთანხმებლად. ამის შედეგად მივიღეთ ტერმინოლოგიური სიჭრელე (მ.შ. უთარგმნელად, ქაოსურად შემოსული ტერმინები), საერთაშორისო სტანდარტებისადმი შეუსაბამობა და უნდობლობა ტერმინოლოგიური ლექსიკონების მიმართ (ქაროსანიძე 2022–2023: 399–400). ზოგადი ტერმინოლოგიური პრობლემატიკა თავს ავლენს მეცნიერების პრაქტიკულად ყველა დარგში. თანამედროვე განვითარების პირობებში ჩნდება უამრავი ახალი მიმართულება, ახალი ცნებები, რომელთა აღსანიშნავი ტერმინები ქაოსურად და უკონტროლოდ იჭრება ქართულ ენაში (კალკირება, უთარგმნელად გადმოღება, ზოგჯერ ორი ან მეტი პარალელური ტერმინის გაჩენა), რაც იმას მიუთითებს, რომ არ არის შემუშავებული ტერმინოლოგიური მუშაობის ეფექტური მექანიზმი (სალინაძე 2022–2023: 339).

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა, საქართველოში დღეს ტერმინოლოგიის მართვის ეფექტური სისტემა არ არსებობს. საბჭოთა პერიოდის ტერმინთშემოქმედების დადებითი მხარე იყო დარგობრივ ტერმინოლოგიაზე სისტემური მუშაობა (ქაროსანიძე 2022–2023: 396–397), თუმცა მის სუსტ მხარედ ითვლება ორენოვანი (რუსულ-ქართულ) სტრუქტურა და რუსულის ძალიან მომძლავრებული გავლენა. ტერმინთა ანალიზისას ნათლად ჩანს, რომ ტერმინოლოგია დიდწილად რუსულს მიჰყვება პირდაპირ. მაგალითად, თუკი კონკრეტული ცნების აღსანიშნავად რუსულში ტერმინი შექმნილია საკუთარი ენის ლექსიკური ფონდით, ქართულში მას უქმნიდნენ ეკვივალენტს ან თარგმნიდნენ (ანუ ადგილი ჰქონდა სემანტიკურ სესხებას ან კალკირებას): самолет – თვითმფრინავი, гранатомет – ყუმბარსატყორცნი, предложение – წინადადება და ა.შ. მაგრამ თუ ტერმინი რუსულში სხვა ენიდან იყო ნასესხები, ქართულში იგი რუსულის გავლით გადმოდიოდა ასევე ტრანსლიტერაციის გზით და რუსული ორთოგრაფიის გათვალისწინებით; მაგალითად, акция – აქცია (< ფრანგ. action), курс – კურსი (< ლათ. cursus); მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სიტყვა მთლიანად რუსულ ორთოგრაფიას არ მისდევს: вексель – ვექსილი (< გერმ. Wechsel).

ამას გარდა რუსულის გავლენით ქართულში სემანტიკური სესხებით გზით შემოსული (რაც უარყოფითად ნამდვილად არ უნდა შეფასდეს) ან ქართული ენის ბაზაზე სპეციალურად ქართული ენისათვის შექმნილი ტერმინების გვერდით იმავე რუსულის გავლენით იწერებოდა ტრანსლიტერირებული სინონიმური ფორმები, რომლებთაგანაც ზოგიერთმა შემდეგში გამოდევნა ქართული სინონიმები. „საბჭოთა პერიოდამდელ ლექსიკონებში ქართული ტერმინები გამოიყენებოდა, შემდეგ კი ისინი უცხო სიტყვებმა ჩაანაცვლა“. 1920 წელს გამოცემულ რუსულ-ქართულ ტექნიკურ ლექსიკონში გვხვდება ტერმინები: სხივთაბნევა, კუთხზომი, მათრევი, ფრენოსანი, რომლებიც შემდგომ საბჭოთა პერიოდში თანდათან ჩაანაცვლდა ინტერნაციონალიზმებით: აბერაცია, გონიომეტრი, ბუქსირი, ავიატორი. სინონიმია, როგორც ტერმინოლოგიის ერთ-ერთი სირთულე, „გარკვეულწილად საბჭოთა პერიოდის ენობრივი პოლიტიკით იყო გამოწვეული. სწორედ ამ ეპოქის მემკვიდრეობაა ორი ტერმინი ერთი ცნებისათვის: ერთი ქართული, ერთიც – უცხოური“ (ქაროსანიძე & ხურცილავა 2018: 28–30).

სინონიმის პრობლემას გვიან საბჭოთა პერიოდში მკაცრი სტანდარტიზაციით უპასუხეს. ლექსიკონებში, რომლებსაც ოფიციალური ორგანოები ამტკიცებდნენ, ერთი ცნებისათვის შეჰქონდათ ერთი ტერმინი, მიუხედავად იმისა, რომ დარგობრივ ლიტერატურაში შესაძლოა მისი რამდენიმე ფორმა ყოფილიყო გავრცელებული. ქარ-

თულ ტერმინოლოგიას საბჭოთა სტანდარტის შესაბამისად დაევალა, რომ რუსულ ტერმინებზე ჰქონოდა სწორება. ეს მეთოდი ტერმინოლოგიაში სინონიმის თავიდან აცილების მიზნით შესაძლოა გამართლებულად ჩაითვალოს, მაგრამ ამავდროულად ის გზას უხსნიდა კალკირებულ ტერმინებს და მთლიანად რუსულის თარგმნა „ჭრიდა“ ქართულ ტერმინოლოგიურ საქმეს (სადინაძე 2022–2023: 347–348).

ერთი შეხედვით სინონიმურ წყვილებში უარყოფითი ბუნება არ ჩანს, თუმცა თუკი დავაკვირდებით სამეცნიერო თუ არასამეცნიერო ტექსტებს, მარტივი შესამჩნევია, რომ ინტერნაციონალიზმებმა თანდათან გამოდევნა ენიდან მათი ქართული შესატყვისები (უფრო მეტი ასეთი სინონიმური წყვილისათვის იხ. უცხო სიტყვებისა და მათი ქართული შესატყვისების გლოსარიუმი – <https://glosarium.iliauni.edu.ge/>).

ვლადიმერ პაპავა სტატიაში „თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია: ახალი პრობლემები და ძველი შეცდომები“ თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის განვითარების ორ მთავარ პერიოდს გამოჰყოფს: 1) XX საუკუნის 90-იანი წლები (დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდი) და 2) 2000 წლიდან მოყოლებული. პირველი პერიოდის ტერმინოლოგიურ მუშაობაში ის დიდწილად ისევ რუსული ენის გავლენას ხედავს (მაგალითად, ამ დროს დამკვიდრდა ტერმინი „მთლიანი შიდა პროდუქტი“ – валовой внутренний продукт და არა „მთლიანი სამამულო პროდუქტი“ – gross domestic product). მეორე, ანუ ახლანდელ პერიოდს კი უფრო მეტად ინგლისური ენის გავლენა ახასიათებს, რასაც ხშირად თან ახლავს ადრე ინგლისური ენიდან შემოსული სიტყვების მიერ ქართული ტერმინების განდევნა (მაგალითად, „მართვა“ თითქმის მთლიანად გამოდევნა „მენეჯმენტმა“) (პაპავა 2014: 141–142). ინგლისურის მომძლავრებული გავლენის მიუხედავად, ჯერ კიდევ მრავალი დარგი რჩება რუსულ ტერმინოლოგიასთან მიბმული. ინგლისურის გავლით შემოსული „სილაბუსის“, „პორტფოლიოს“ (არსებობს მანამდე შემოსული „პორტფელი“), „თინეიჯერის“ გვერდით აქტიურ ხმარებაში რჩება „ბოლტი“, „ნასოსი“ და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ რუსულიდან შემოსულ ბარბარიზმებს ტერმინოლოგიურ დონეზე დიდი ხანია ებრძვიან, დღემდე ვერ მოხდა ენიდან მათი განდევნა. ლიტერატურაში მათ ნაცვლად გამოყენებული „ქანჩი“, „საკისარი“, „ჭანჭიკი“ ენაში სრულყოფილად ჯერ დამკვიდრდა.

ქართული ტერმინოლოგიის დანერგვის სირთულის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ლექსიკონებში შეტანილი ზოგიერთი ქართული ტერმინი „თითქოსდა მიესადაგება მნიშვნელობას, მაგრამ იმდენად უხეიროდ, რომ ისინი საერთოდ არ გამოიყენება პრაქტიკაში“: იგრიხებადი, იწვებადი, მხუთრიანი, მეზარდი; არადა ბევრად უფრო ბუნებრივია (და თანაც ენაში გავრცელებული) გრეხადი, წვადი, მხუთავი, მზარდი (სუთიძე & იაკობაშვილი 2016: 120). თუკი ძველ ლექსიკონებში შეტანილი ტერმინები ენამ არ მიიღო და მათ ნაცვლად არსებობს ქართულისთვის უფრო ბუნებრივი და მოქნილი სიტყვები, ტერმინოლოგიური ბაზები (ლექსიკონი იქნება ეს თუ ონლაინ-ბაზა) უფრო აქტიურად უნდა დაექვემდებაროს განახლებას.

ტერმინოლოგიის დანერგვის ახლანდელი მდგომარეობა იმდენად ქაოსურია, რომ ზოგჯერ ერთი სასწავლებლის სხვადასხვა კათედრაზეც კი არაუნიფიცირებულ ტერმინებს იყენებენ, ანუ ერთი ცნების აღსანიშნად შესაძლოა სხვადასხვა სიტყვას ასწავლიდნენ (მელაძე 2024: 124–139). ფინანსების და საბანკო საქმის სხვადასხვა

სასწავლო სახელმძღვანელოში გვხვდება თარგეთირება და ტარგეტირება, ოპციონი და ოფციონი, საბანკო საქმე და ბანკინგი, ნდობითი ოპერაციები და სატრასტო ოპერაციები. ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს ტრანსლიტერაციის ნორმების დაუცველობას, მეორეგან კი ქართული და უცხოური ვარიანტები გვერდიგვერდ იხმარება. ამგვარი მიდგომა ენის საფრთხედ ითვლება (ხურცილავა 2016: 158). თუკი ზემოაღნიშნულ პარალელური სინონიმური წყვილების მაგალითს გავიხსენებთ, ეს შიში უსაფუძვლო არ არის. ქართული საფინანსო (და არა მარტო) ტერმინოლოგიის ერთ-ერთ დიდ პრობლემად ნამდვილად დასტურდება ტერმინოლოგიის შეუთანხმებლობა და ტერმინების თვითნებურად ხმარება.

სასწავლო ლიტერატურაში დარგობრივი ტერმინების ქართული ეკვივალენტის არარსებობის დროს უცხო ენიდან შემოტანილი სიტყვა აუცილებლად მოითხოვს განმარტებას (ხურცილავა 2016: 160). სასწავლო ლიტერატურის შედგენისას გამოყენებული ეს პრაქტიკა უეჭველად მიუთითებს იმაზე, რომ უცხოური ტერმინების მასობრივი გამოყენება მნიშვნელოვნად ართულებს შინაარსის აღქმადობას. მაშინ რა საჭიროა ტექსტის გადავსება ამდენი უცხო სიტყვით? პრაქტიკულად ყველა მეცნიერი, რომელიც ტერმინოლოგიის პრობლემაზე წერს, ამ კითხვას სვამს.

ხშირად ერთმანეთისგან განსხვავდება ლექსიკონში შეტანილი და ყოველდღიურ დარგობრივ საქმიანობაში გამოყენებული ტერმინები. მაგალითად, სამხედრო და ტექნიკურ ლექსიკონებში შეტანილი „კუთხვილის“ და „კუთხვილიანის“ ნაცვლად ქართულ ჯარში გამოიყენება „ნაჭდევი“ და „ნაჭდევიანი“, „ცეცხლსაქრობის“ ნაცვლად ენაში დამკვიდრდა „ცეცხლმაქრი“, „საყურისის“ ნაცვლად – „ყურსასმენი“ (მელაძე 2024: 124–139), „ქარსარიდის“ ნაცვლად – „საქარე“ (მინა/შუმა) და ა. შ. ტერმინის შერჩევის, ლექსიკონში შეტანის, მის დამკვიდრებასთან დაკავშირებული საქმიანობის დროს ეს ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია – რა არის გავრცელებული ენაში, რომელი ფორმა უფრო ბუნებრივი და გამჭვირვალე.

ტერმინოლოგიის პრობლემებს შორისაა ტერმინთა უმართებულოდ გამოყენება. მაგალითად, ხშირად governor-ისა და manager-ის შესატყვისად ორივე შემთხვევაში იყენებენ მენეჯერს (პირველს შესაძლოა შეესაბამოს მმართველი); tax-ისა და payment-ისათვის – გადასახადს (თუმცა არსებობს გადასახდელიც). მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ ეკონომიკურ ტერმინთა მცდარად გამოყენება ხდება არამარტო პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების, არამედ დარგის სპეციალისტების მიერაც (პაპავა 2014: 141–142).

როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსულის შემდეგ ქართულ ტერმინოლოგიას ზემოქმედების მთავარ ფაქტორად ინგლისური ჩაენაცვლა (თუმცა არა სრულად). როდესაც უცხო ტერმინების ქაოსურად შემოჭრაზე ვსაუბრობთ, აქ პირველ რიგში ინგლისურ ენას მოვიაზრებთ. ქართულ საფინანსო ტერმინოლოგიაში შემოსული (განსაკუთრებით ბოლო პერიოდში) უცხო სიტყვების დიდი უმრავლესობა ინგლისურია ან ინგლისურის გავლით მოხვდა ქართულში: კორელაცია, პროფიციტი, ლიზინგი, დისკონტი, სვოპი, სპოტი, ჰეჯირება და ა. შ. რუსულის მსგავსად ასევე ხშირად გვაქვს ქართულ-ინგლისური სინონიმური წყვილები (ხურცილავა 2016: 157).

სხვადასხვა დარგში გვაქვს ტერმინთა არასაჭიროდ ან ხელმეორედ სესხების შემთხვევებიც. ადრე რუსული ენის გავლით შემოსულ და გარკვეული მნიშვნელობით დამკვიდრებულ ლათინურძირიან სიტყვებს დღეს ხელმეორედ ვსესხულობთ

ინგლისურიდან – უკვე ახალი მნიშვნელობით: რეზერვაცია (როგორც იძულებით გადასახლების ადგილი) // რეზერვაცია (როგორც დაჯავშნა), არტისტი (როგორც მსახიობი) // არტისტი (როგორც მხატვარი), კოლაბორაცია (როგორც მტერთან თანამშრომლობა) // კოლაბორაცია (როგორც უბრალოდ თანამშრომლობა); ასეთი შემთხვევები ძლიერ მომრავლდა (მარგალიტაძე 2023: 16–18). სატყუო ტერმინოლოგიაში „ტყის მცველი“ ბოლო პერიოდში მასობრივად ჩაანაცვლა ინგლისურიდან შემოსულმა „რეინჯერმა“. რეინჯერი მანამდე ქართულში სამხედრო ტერმინოლოგიის ნაწილი იყო. ქართულ სამეცნიერო სივრცეში გავრცელებული ჯერით, ეს არღვევს ტერმინის მონოსემიურობის პრინციპს (სუხიშვილი 2020: 317); თუმცა ტერმინთშემოქმედების ეს პრინციპები (მონოსემიურობა, ერთსიტყვიანობა, არასინონიმურობა...) დიდი ხანია მოძველდა საერთაშორისო პრაქტიკაში და ქართულიც ვერ იქნება გამონაკლისი. ერთი ტერმინი მხოლოდ ერთ დარგში და მხოლოდ ერთი ცნებისთვის ყოველთვის ვერ იქნება გამოყენებული. ამავდროულად, ვერ უარყოფთ ტერმინების სინონიმობას, ესეც თანამედროვე რეალობაა, მაგრამ აქ მეორე მომენტი გასათვალისწინებელი: რა საჭიროა უცხო ენებიდან ისეთი ცნებებისათვის შემოვიტანოთ ტერმინები, რომელთათვისაც უკვე არსებობს მიღებული შესატყვისები? განსაკუთრებით სამწუხაროა, როდესაც ამას ვხვდებით ოფიციალურ დოკუმენტებში, უმაღლესი სასწავლებლების გამოცემებში, სასწავლო მასალებში. შევეცადეთ შეგვესწავლა, რამდენად ხშირია ეს ტენდენციები უშუალოდ ფინანსების დარგში.

თანამედროვე ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთ-ერთი ტენდენციაა საერთო ენის სიტყვების ტერმინებად ქცევა. ეს უკვე სიახლე აღარ არის, მაგრამ დღეს პროცესი ბევრად უფრო გააქტიურებულია, ვიდრე უწინ. ამავდროულად გახშირდა ტერმინების გადასვლა ერთი დარგიდან მეორეში. ყოველივე ეს ენაში აჩენს სიტყვების ახალ მნიშვნელობებს, ანუ პოლისემიას. დიდი რაოდენობით ახალი ცნებების გაჩენა ენას უბიძგებს გამოიყენოს ე. წ. ეკონომიის პრინციპი და სახელდებისას ისარგებლოს არსებული ლექსიკური ფონდით (მარგალიტაძე 2018). საინტერესოა საფინანსო ტერმინოლოგიის გაანალიზება ამ კუთხითაც.

ტერმინთშემოქმედების მეთოდების ეს მრავალფეროვნება ხელს უწყობს ტერმინოლოგიის გაჯანსაღებას; კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე შესაძლებელია ტრანსლიტერაციის, სემანტიკური სესხების, დარგთაშორისი სესხების, საერთო ლექსიკის სიტყვების გამოყენება და ერთგვარი ოქროს შუალედის პოვნა პურიზმსა და ნასესხობას შორის. თუმცა ეს პროცესი თავისთავადი ვერ იქნება. დღეს ვიძვით საკუთარ დინებაზე მიშვებული, შეუთანხმებლად წარმოებული ტერმინოლოგიის უარყოფით შედეგებს. დინებაზე მიშვების არდაშვება არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც „ავტორიტარული“ პროცესი (რაც პრაქტიკულ შედეგებს ნაკლებად მოიქნას), არამედ როგორც შეთანხმებული, დაკვირვებასა და ანალიზზე დაფუძნებული საერთო საქმე.

ამ თავში მოყვანილი ავტორები გამოსავლად ხედავენ ერთიანი ტერმინოლოგიური საცავის სისტემურ განვითარებას, პროცესში დარგის სპეციალისტების, ტერმინოლოგების, ლექსიკოგრაფების ჩართულობას, სტანდარტიზაციის პროცესის გაძლიერებას, საერთაშორისო სტანდარტებთან ინტეგრაციას, ენობრივ პროცესებზე დაკვირვებას, ენის და ამ ენაზე მოსაუბრე კოლექტივის ინტერესების ორმხრივ გათვალისწინებას.

3 კვლევის მონაცემები და მეთოდოლოგია

საანალიზო ტერმინების შესაკრებად გამოვიყენეთ კორპუსული მეთოდოლოგია, კერძოდ პარალელური კორპუსის პლატფორმა და ტერმინების ავტომატურად ამოღებას სპეციალური პროგრამა - SynchroTerm. ეს არის ტერმინოლოგიის ორენოვანი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ბევრად აადვილებს ტერმინების ამოღებისა და დამუშავების პროცესს სტატისტიკური ალგორითმების, სინტაქსური და მორფოლოგიური ანალიზის გამოყენებით. პროგრამა ავტომატურად პოულობს ტერმინებს და მათ სხვაენოვან ეკვივალენტებს; თავსებადია სხვადასხვა ფორმატის დოკუმენტებთან; შესაძლებელია მონაცემების ექსპორტი ხუთ სხვადასხვა ფორმატში; აქვს 30 ენის მხარდაჭერა (რაც ამ ენების ტერმინების ამოცნობას ამარტივებს; ქართული ენა ჯერ-ჯერობით არ აქვს).¹

პარალელური კორპუსის პლატფორმად გამოვიყენეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის მიერ შექმნილი ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი (<https://enkacorpus.iliauni.edu.ge/>).² კორპუსი მოიცავს როგორც მხატვრულ ლიტერატურას, ისე სამეცნიერო და დარგობრივ ტექსტებს. კორპუსიდან ჩამოიღეთ საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული ტექსტების ქართული და ინგლისური ვერსიები, რომლებიც შემდეგ აიტვირთა SynchroTerm-ში საფინანსო ტერმინების ამოსაკრებად. პროგრამა გაანალიზების შემდეგ გვთავაზობს ტერმინების კანდიდატებს, მის კონტექსტებს და შემდეგ უკვე მომხმარებელი იღებს გადაწყვეტილებას, დატოვოს თუ არა ეს ტერმინოლოგიური წყვილი ტერმინთაზაში. შესაძლებელია როგორც წყარო, ისე სამიზნე ენის ტერმინების ჩასწორება, პროგრამის მიერ გამორჩენილი ტერმინების მონიშვნა და ბაზაში ჩამატება. არჩეული ტერმინები თავს იყრის ტერმინთაზაში, სადაც ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი გადასვლა და გლოსარიუმის დათვალიერება, კონტექსტების გადახედვა, დამთხვევების რაოდენობის შემოწმება, ტერმინების ამოშლა და სხვ.

მუშაობის დასრულების შემდეგ მომხმარებელს აქვს მონაცემთა ექსპორტის შესაძლებლობა. შესაძლებელია შეგროვებული ტერმინებისა და მათი კონტექსტების კონვერტირება სხვადასხვა ფორმატში, მაგალითად Excel-ში, რის შემდეგაც მარტივდება ტერმინების ანალიზი. ამ ეტაპის დასრულების შემდეგ პროგრამის დახმარებით ამოვიღეთ 200-მდე ინგლისური ტერმინი ქართული შესატყვისებით.

საანალიზო ტერმინოლოგიური მასალის მოსაგროვებლად ასევე გამოვიყენეთ არსებული ლექსიკონების სიტყვანი და განმარტებები. ერთ-ერთი ასეთი ახალი დარგობრივი ლექსიკონია „ფინანსურ ტერმინთა ლექსიკონი“ (რედ. ვ. ლეჟავა, 2022, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა; <https://finterms.ge/>),

1 SynchroTerm – bilingual term extraction software. Terminotix. https://terminotix.com/docs/factsheet_synchroterm_en.pdf [14/04/2025].

2 ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი. ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი. <https://lexicography.iliauni.edu.ge/inglisur-qarthuli-paraleluri-korpusi/> [14/04/2025].

რომელიც 300-მდე ტერმინს შეიცავს. მასში მოცემულია ინგლისური ტერმინი, მისი ქართული ეკვივალენტი და ცნების განმარტება ქართულ ენაზე.

4 თანამედროვე ქართული საფინანსო ტერმინოლოგიის პრობლემები

4.1 არასწორად შედგენილი ტერმინები

ტერმინთა მოძიებისა და ანალიზის დროს გამოვლინდა ლექსიკონებში შეტანილი, ოფიციალურ დოკუმენტაციებსა თუ საიტებზე დაფიქსირებული მრავალი ისეთი ტერმინი, რომელიც თავისი შედგენის წესით არღვევს ტერმინშემოქმედების პრინციპებს, ზოგჯერ თვით ქართული ენის მორფოლოგიასაც კი.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული (არამარტო ფინანსების დარგში) ტერმინოლოგიური ხარვეზია რამდენიმენაწილიანი კომპოზიტების ცალ-ცალკე წერა, რასაც მეორენაირად, რიგ შემთხვევებში, შეგვიძლია ვუწოდოთ ნათესაობითი ბრუნვის დაკარგვა. ერთი შეხედვით ასეთი კომპოზიტების პირველი ნაწილი არსებითი სახელის (რთული სიტყვის კომპონენტის) ატრიბუტულ ხმარებადაც შეიძლება ჩავთვალოთ, მაგრამ ქართულში ატრიბუტულად გამოყენებული არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში უნდა იყოს; ამ შემთხვევაში კი ფუძის ფორმით გვაქვს წარმოდგენილი (ე.წ. წრფელობით ბრუნვაში, ბრუნვის ნიშნის გარეშე). აქ ჩამოვთვლით რამდენიმე ასეთ ტერმინს:

[1] ბლოკჩეინ ტექნოლოგია – blockchain technology: ერთ-ერთ სამეცნიერო სტატი-
აში³ ტერმინის გვერდით გამოტანილია ქართული ვარიანტი „ბლოკჯაჭვი“, თუმცა
ამავე სტატიაში უგულებელყოფილია ამგვარ კომპოზიტთა ჩაწერის წესი, რომელიც
გულისხმობს სიტყვების შეერთებით მიღებული კომპოზიტის ერთ სიტყვად დაწე-
რას (მდრ. ინტერნეტბლოგი, ვიდეოგადაღება, ავტომომსახურება და ა. შ.). ქართუ-
ლად მართებული ფორმა იქნება ბლოკჩეინტექნოლოგია ან ბლოკჩეინის ტექნო-
ლოგია.

[2] მეზანინ დაფინანსება – mezzanine financing: გულისხმობს ფინანსური საშუა-
ლებების მოძიების ისეთ გზას, როდესაც ერთმანეთთან შერწყმულია სესხი (კრე-
დიტი) და საკუთარი კაპიტალი; ანუ მათი შუალედური ვარიანტია. ფინანსური ტე-
რმინი წარმოსდგება არქიტექტურული ტერმინიდან „მეზონინი“ (ინგლ. mezzanine,
რუს. мезонин), რომელიც შენობის მთავარ სართულებს შორის არსებულ შუალე-
დურ სართულს ნიშნავს (ინგლ. mezzanine < ფრანგ. mezzanine < იტალ. mezzanino
კნ. < იტალ. mezzano < ლათ. medianus „შუა“).⁴ ასეთი კომპოზიტი უნდა დაიწეროს

3 კანდელაკი, ნ. (2019). ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენების პერსპექტივები ელექტ-
რონულ მმართველობაში. კრებულში: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრო-
მები. N 3(513). გვ. 11–18.

4 Harper D. 'Etymology of mezzanine'. *Online Etymology Dictionary*. <https://www.etymonline.com/word/mezzanine> [02/05/2025].

ერთად. ცალკე დაწერილი „მეზანინ“, რომელსაც არ აქვს საზღვრული სახელისათვის დამახასიათებელი რაიმე აფიქსი, შეცდომაა. ტერმინი უნდა დაიწეროს შეერთებით – მეზანინდაფინანსება, ან დაერთოს ზედსართავი სახელის წარმოებისათვის საჭირო რომელიმე აფიქსი – მაგალითად -ური (მეზანინური დაფინანსება). ასევე შესაძლებელია მოიძებნოს ქართული შესატყვისიც: შუალედური დაფინანსება, შერეული დაფინანსება ან სხვა.

[3] წარმოებული კომპოზიტები, რომლებიც ერთად უნდა დაიწეროს: მიკრო სესხი – უნდა იყოს მიკროსესხი; ბიზნეს სესხი – უნდა იყოს ბიზნესსესხი; ბიზნეს მოდელი – უნდა იყოს ბიზნესმოდელი ან ბიზნესის მოდელი; ქოლ ცენტრი – უნდა იყოს ქოლცენტრი.

სხვა ენებიდან ნასესხები და ტრანსლიტერაციით გადმოტანილი ზოგიერთი ტერმინი არღვევს ტრანსლიტერაციის წესებს:

[4] აუტსორსინგი – outsourcing: უნდა იყოს აუტსორსინგი

[5] დემპინგი – dumping: უნდა იყოს დამპინგი. ამ ფორმით ფიქსირდება ზოგიერთ შედარებით ახალ ლიტერატურაში. რამდენიმე აღრიხდელ ლექსიკონში ფიქსირდება ქართული სინონიმი „გადასაყარი ექსპორტი“, თუმცა პრაქტიკაში მას არსად არ იყენებენ.

[6] დოუ ჯონსის ინდექსი – Dow Jones Average: უნდა იყოს დაუ ჯოუნზის ინდექსი.

[7] ფილიპსის მრუდი – The Phillips curve: უნდა იყოს ფილიფსის მრუდი.

[8] ტრესტი – trust: უნდა იყოს ტრასტი. ამ ფორმით გვხვდება ზოგიერთ შედარებით ახალ გამოცემაში.

ზოგჯერ ტერმინი ქართულ ენაში პირდაპირ ინგლისური სიტყვით აქვთ გადმოტანილი მაშინ, როდესაც არსებობს ქართული სიტყვებით უფრო გასაგებად გადმოცემის შესაძლებლობა. მაგალითად:

[9] ლექსიკონებში, ინტერნეტგამოცემებში და ლიტერატურაში გვხვდება ტერმინი agile ტრანსფორმაცია (ლათინური ასოებით⁵), რომელიც ორგანიზაციის საქმიანობის მოქნილ პრინციპებზე გადაყვანას გულისხმობს (*agile adj.* „მარჯვე, მოქნილი“). ქართულში agile-ს ან ტრანსლიტერირებულ ეჯაილს პირდაპირ შეესატყვისება „მოქნილი“, ანუ გვექნება ტერმინი „მოქნილი ტრანსფორმაცია“, მაგრამ მეორე ნასესხები სიტყვის ჩანაცვლებაც შეიძლება ბუნებრივი ვატიანტით – „მოქნილი გარდაქმნა“.

[10] რისკების მიტიგაცია – risk mitigation: დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის მიხედვით, mitigation-ის ქართული თარგმანი არის შემსუბუქება, შემცირება. ტერმინი risk mitigation გულისხმობს რისკებისა და საფრთხეების გააზრებას, მათი არსებობის აღიარებას და შესაბამისი ზომების მიღებას შესაძლო შედეგების შემცირების მიზნით. ჩვენთვის ნათელია, რომ ამ ცნებას პირდაპირ შეესატყვისება „შემცირება“. ჩვენი აზრით ქართული ტერმინი უნდა იყოს „რისკების შემცირება“.

5 იგივე შემთხვევაა SWOT-ანალიზი. ჩვენი აზრით, ტერმინების ჩაწერა სხვა დამწერლობების გრაფემებით ქართულში არ შეიძლება.

[11] რითეილ (კომპოზიტებში) – retail: ქართულში დიდი ხანია მის შესატყვისად შემოღებულია „საცალო“, მაგრამ მაინც ხშირად გვხვდება არასწორი ტერმინი.

[12] დერივატივი – derivative: აღნიშნავს სხვადასხვა საბაზისო აქტივიდან წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს და სასწავლო ლიტერატურაში სწორედ ამ სახელით გვხვდება: „წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი“ (მდრ. derivative – „წარმოებული“ მათემატიკაში). ამის მიუხედავად, ლექსიკონებსა და ონლაინგამოცემებში მაინც დავაფიქსირეთ დერივატივი.

[13] ტერმინალური ღირებულება – terminal value: გულისხმობს რისამე ახლანდელ დროში დისკონტირებულ სამომავლო ღირებულებას. *terminal*-ს ქართულში შესატყვისება „ბოლო, საბოლოო, დასკვნითი“, ამიტომ ჩვენი აზრით უმჯობესია გამოვიყენოთ „საბოლოო ღირებულება“ ნაცვლად „ტერმინალური ღირებულებისა“.

[14] სუბორდინირებული სესხი – subordinated loan: ეწოდება სხვებთან შედარებით ნაკლებად პრიორიტეტულ სესხს. ქართულში „სუბორდინირებული“ დაქვემდებარებულის მნიშვნელობითაა შემოსული გაცილებით ადრე. ინგლისურ subordinated-ის აქ გამოყენებული მნიშვნელობის ქართული თარგმანია „მეორეხარისხოვანი, ნაკლებად მნიშვნელოვანი“. შესაბამისად, მართებული იქნება ტერმინის „მეორეხარისხოვანი სესხის“ გამოყენება.

სამწუხაროდ გვხვდება ისეთი ტერმინებიც, რომლებიც თავისი შემადგენლობით აცდენილია აღსანიშნი ცნებისაგან. ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზია ინგლისური სიტყვების პირდაპირ, ან ისეთი მნიშვნელობით სესხება, რაც არანაირ კავშირში არ არის ტერმინის მნიშვნელობასთან. ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს:

[15] რისკების აპეტიტი // მადა – risk appetite: ტერმინი ქართულში ამ ფორმით გავრცელებულია მათ შორის ოფიციალურ დოკუმენტებში. აღნიშნავს რისკის ისეთ დონეს, რომელზეც წამსვლელია კონკრეტული ორგანიზაცია, რომ მიიღოს სასურველი უკუგება ან სხვა სარგებელი. ქართულ ტერმინში „მადა“ ან „აპეტიტი“ არ არის დაკავშირებული აღსანიშნ ცნებასთან. ჩვენი აზრით, „რისკების მისაღები დონე“ ან „რისკების ზღვარი“ უფრო მეტად შესაბამისი იქნებოდა ამ ინგლისური ტერმინისათვის.

[16] არაფულადი კონტრიბუცია – Payment-in-Kind: „კონტრიბუცია“ ქართულში მიღებულია სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობით: ის აღნიშნავს იმ ფულად გადასახადს, რომელსაც ომში დამარცხებული ქვეყანა უხდის გამარჯვებულ მხარეს⁶. თუმცა ინგლისური ენის გავლენით ქართულ ენაში „კონტრიბუციამ“ დღეს ჩაანაცვლა „წვლილი“⁶ და contribution-ის ისეთი მნიშვნელობები, რომლებსაც ქართულში სხვა შესატყვისი ჰქონდათ (შესატანი, შეწირვა და სხვ.). Payment-in-Kind გულისხმობს გადახდას არა ფულით, არამედ საქონლით ან მომსახურებით. საფინანსო ტერმინის ქართული სწორი შესატყვისი ჩვენი აზრით იქნება „არაფულადი ანგარიშსწორება“, ნაცვლად კონტრიბუციისა. სხვა შემთხვევაში ასევე შესაძლებელია გამოყენებული იყოს „არაფულადი წვლილი“ (როდესაც საქმე არ უკავშირდება საფინანსო გარიგებას).

6 მარგალიტაძე, თ. (2023). *ფიქრები მშობლიურ ენაზე*, თბილისი. გვ. 17.

იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ახლოს მდომი ტერმინებიდან არასწორადაა შერჩეული ერთ-ერთი:

[17] საოპერაციო შემოსავალი // საოპერაციო მოგება – operating income: ამ შემთხვევაში თარგმნის პრობლემას იწვევს ის ფაქტი, რომ ინგლისურ ტერმინ income-ს საფინანსო სფეროში ორი ცნება შეესაბამება. ქართულად მათ ვთარგმნი, როგორც შემოსავალს და მოგებას. operating income გულისხმობს სხვაობას მთლიან მოგებასა და ამ მოგებისათვის გაწეულ საოპერაციო ხარჯებს შორის. შესაბამისად, ამ შემთხვევაში „საოპერაციო შემოსავლის“ გამოყენება არასწორია.

4.2 პარალელურად ხმარებული ფორმები

ზოგჯერ გვხვდება ერთი და იგივე ცნების აღსანიშნად ორი ან მეტი ტერმინის პარალელურად გამოყენება, რაც რიგ შემთხვევებში იწვევს ბუნდოვანებას, ერთი ცნებისათვის ადამიანთა სხვადასხვა წრეში განსხვავებული ტერმინების გაჩენა-დამკვიდრებას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ასეთი ტერმინებიდან უნდა დარჩეს ერთ-ერთი.

[1] პერპეტუიტი⁷ // პერპეტუიტეტი⁸ – perpetuity: როგორც ჩანს, ავტორებს ტერმინები გადმოაქვთ იმის მიხედვით, თუ რომელი ენიდან აქვთ ნათარგმნი წიგნის ან სტატიის კონკრეტული ნაწილი (რუს. перпетуитет vs ინგლ. perpetuity). არსებობს ამავე პრინციპით მიღებული ტერმინი **ანუიტეტი** (annuity). ამიტომ ეს ორი ტერმინი ერთმანეთთან ჰარმონიაში უნდა იყოს მოსული: 1) ანუიტეტი – პერპეტუიტეტი ან 2) ანუიტი – პერპეტუიტი.

[2] ამორტიზირებული // ამორტიზებული ღირებულება – amortised cost: ტერმინის ორივე ფორმა ერთსა და იმავე დოკუმენტში დავაფიქსირეთ. დარგობრივ და სასწავლო ლიტერატურაში ასევე ორივე ფორმით გვხვდება. -ირება სუფიქსი ამ ტერმინში რუსულის გავლენას უნდა მივაწეროთ (შდრ. амортизирование). ქართულად ფუძე ტერმინის სწორი ფორმა იქნება ამორტიზება ან ამირტიზაცია⁹, ამიტომ amortised cost-ის ქართული შესატყვისი უნდა იყოს ამორტიზებული ღირებულება.

[3] დისკონტირებული // დისკონტის // დისკონტირების განაკვეთი – discount rate: ქართულ წყაროებში სამივე ფორმით გვხვდება. დისკონტირება ტერმინია და შეესაბამება ინგლისურ discounting-ს, ამიტომ discount rate უმჯობესია ქართულად გამოიცეს, როგორც დისკონტის განაკვეთი.

[4] ცვლადი // მცურავი საპროცენტო განაკვეთი – floating interest rate: ეს ისეთი საპროცენტო განაკვეთია, რომლის მოცულობა საპროცენტო პერიოდის განმავლობაში შეიძლება გადაიხედოს და შეიცვალოს. „მცურავი“ ინგლისური floating-ის დი-

7 ასლანიშვილი, დ., ომაძე, ქ. რიკარდოს ეკვივალენტი ანუ სახელმწიფო ვალის წარმოშობისა და პრაქტიკული დანიშნულების აზრი. <http://www.conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=465> [09/05/2025]

8 ქელიძე, ი. (2021). *მმართველობითი ადრიცხვა 2*, თბილისი: თსუ. გვ. 159.

9 'ამორტიზება'. ganmarteba.ge. <https://www.ganmarteba.ge/word/ამორტიზება> [18/05/2025]

რითადი მნიშვნელობის კალკია. ქართულად ტერმინის მიერ აღნიშნული ცნების არსს უკეთესად გადმოსცემს „ცვლადი“, რომელიც floating-ის ერთ-ერთი სხვა მნიშვნელობაც არის.

[5] ლიკვიდობა // ლიკვიდურობა – liquidity: ლიკვიდური ეწოდება ისეთ აქტივს, რომლის ფულად გადაქცევა მარტივად შესაძლებელი. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ვხედავთ სიჭრელეს, ზოგჯერ ერთსა და იმავე წყაროში დაფიქსირებულია ლიკვიდურობის კოეფიციენტი და ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, ლიკვიდურობის რისკი და ლიკვიდობის რისკი. ამგვარი ტერმინოლოგიური ვარიანტულობა დაუშვებელია. სწორ ფორმებად უნდა დარჩეს „ლიკვიდური“, „ლიკვიდურობა“ და აქედან წარმოებული მრავალსიტყვიანი შესიტყვებები – ლიკვიდურობის კოეფიციენტი, ლიკვიდურობის რისკი და სხვ.

[6] საანგარიშგებო // საანგარიშო პერიოდი – reporting period

[7] ბაზრის რისკი // საბაზრო რისკი – market risk: ერთი ფუძით და სხვადასხვა აფიქსოიდებით წარმოებული პარალელური ფორმები აგრეთვე ართულებს ტერმინოლოგიის ნორმირების საკითხს.

[8] საწარმოს ფუნქციონირების დაშვება // ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი – going concern

[9] ბანკინგი // საბანკო საქმე, საბანკო მომსახურება – banking: უცხოურ-ქართული ტერმინოლოგიური წყვილები, რომელსაც ენაში ხშირად ვხვდებით და არა მარტო საფინანსო სფეროში, ერთი მხრივ მიღებული ტერმინოლოგიური პრაქტიკაა, თუმცა მეორე მხრივ ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს ქართული ან ანალიტიკური ტერმინების ენიდან გამოდევნას და ნასესხები ფორმებით ჩანაცვლებას (იხ. აგრ. თავი „ლიტერატურის მიმოხილვა“). იქ, სადაც ორი ან რამდენიმე სიტყვით უფრო გასაგებადაა შესაძლებელი აზრის ჩამოყალიბება, უმჯობესია გამოყენებულ იქნეს პრაქტიკაში მიღებული ანალიტიკური ტერმინები:

ღია ბანკინგი ბევრ ახალ შესაძლებლობას ქმნის ბიზნესებისთვის; თუ

ღია საბანკო მომსახურება ბევრ ახალ შესაძლებლობას ქმნის ბიზნესებისთვის?

[10] ფრანჩიზი // ფრანშიზი // ფრანშიზა // ფრენჩაიზი // ფრენშიაზი – franchise: პარალელური ფორმების ამგვარი სიჭრელე გამოიწვია ტერმინის სხვადასხვა ენიდან სხვადასხვა დროს შემოტანამ და ტრანსლიტერაციის ნორმების (და წარმოთქმის) გაუთვალისწინებლობამ. თავდაპირველად შემოსულია ფრანგულიდან რუსული ენის გავლით და ორი ფორმით გვხვდებოდა: ფრანშიზი და ფრანშიზა (ამ უკანასკნელში -ა რუსული ენის გავლენაა). ბოლო დროს იგივე ტერმინი ხელახლა გადმოაქვთ, მაგრამ უკვე ინგლისურიდან: ფრენჩაი ან დამახინჯებული ფრენშიაზი (ინგლისურშიც ფრანგულიდანაა შესული)

4.3 აბრევიატურები

ინგლისურ მრავალსიტყვიან ტერმინებს ხშირად აქვს შემოკლებები ან აბრევიატურები. ჩვენ მიერ მოძიებულ ტერმინოლოგიაში გვხვდება შემდეგი აბრევიატურები:

- Accounts Receivable (AR)
- Annual Percentage Rate (APR)
- Break-Even Point (BEP) Analysis
- Cash Conversion Cycle (CCC)
- Cost of Goods Sold (COGS)
- Earnings Before Interest, Taxes, Depreciation and Amortization (EBITDA)
- Gross National Product (GNP)
- Liquidity Coverage Ratio (LCR)
- Over-the-counter (OTC)
- Payment-in-Kind (PIK)
- Purchasing Power Parity (PPP)
- Shareholder Equity (SE)

ქართულ საფინანსო ტერმინებში სულ რამდენიმე დავაფიქსირეთ ისეთი, რომელსაც აბრევიატურა აქვს:

- მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)
- სააქციო საზოგადოება (სს)
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
- დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)
- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო)

აბრევიატურების არქონის გამო ქართულენოვან ტექსტებში ხშირად იყენებენ ინგლისურ აბრევიატურებს, ზოგჯერ ლათინური ასოებით დაწერილს. მაგალითად, შერწყმა და შეძენის (Mergers and Acquisition) შემოკლებად ქართულში გვხვდება M&A. First in, First Out ინგლისურ ტერმინს ქართულად შეესაბამება „პირველი შემოსავალში – პირველი გასავალში“, ტერმინის სიდიდის გამო ინგლისურში იყენებენ FIFO-ს, რაც ქართულში პირდაპირი სესხებით გადმოაქვთ – ფიფო (ეს ფორმა გვხვდება მათ შორის სასწავლო ლიტერატურაში). Foreign Exchange ანუ სავალუტო ბაზარი ინგლისურში შემოკლებულია როგორც Forex; ქართულში შემოკლებული ფორმა ასევე პირდაპირაა ნასესხები – ფორექსი. ქართულ ტერმინოლოგიაში აბრევიატურებისა და შემოკლებების სიმცირეს (ნაკლებობას) ერთ-ერთ პრობლემად გამოვყოფთ.

5 დასკვნა

ქართულ ენაში დარგობრივი ტერმინოლოგიის გამართულობა და სტანდარტიზაცია ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, განსაკუთრებით კი იმ დარგებში, სადაც ტექნოლოგიური აქტივობა და უცხოეთთან ინტეგრაცია გავლენას ახდენს ენობრივ საკითხებზე, იწვევს ცნებათა და ტერმინთა სწრაფ ცვლილებებს. ერთ-ერთი ასეთი დარგია ფინანსები, რომლის ტერმინოლოგია საკმაოდ დიდი ხანია განიცდის უცხო ენების გავლენას და ბოლო წლებში იგივე ტენდენცია შეინიშნება.

სტატიაში გამოყენებული იყო შერეული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავდა როგორც ტრადიციულ (არსებული ლექსიკონებისა და სხვა დარგობრივი ლიტერატურის ანალიზი, ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკური კლასიფიკაცია, ტერმინთა შემოქმედებითი მოდელების იდენტიფიცირება), ისე თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ მიდგომებს, მაგალითად, SynchroTerm-ის გამოყენებას ორენოვანი კორპუსიდან ტერმინთა ამოსაღებად.

ტერმინთა ანალიზის შედეგად დადასტურდა უცხო ენათა დიდი გავლენა ქართულ საფინანსო ტერმინოლოგიაზე, რაც თავს იჩენს როგორც სტრუქტურულ, ასევე ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე. ცხადია, რომ ქართულ საფინანსო ლექსიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსული და ინგლისური ენებიდან შემოსულ ტერმინებს. ერთი მხრივ, ეს განპირობებულია რუსული ენის მომძლავრებული გავლენით თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში (და რაც ძალიან საინტერესოა, ეს გავლენა ახლანდელ პროცესებშიც იგრძნობა), მეორე მხრივ, დასავლურ სამყაროსთან ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად უკვე ინგლისურენოვანი გავლენის გაძლიერებით (თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რუსულის გავლით ნასესხები ტერმინებიდან პრაქტიკულად ყველა ევროპულია).

რუსული ენის გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთი ტერმინების სტრუქტურაში, რომლებიც კალკირების გზით მივიღეთ (მაგ., ძირითადი საშუალებები, საბალანსო ღირებულება, პრივილეგირებული აქცია და სხვ.), ინგლისურის გავლენა კი უფრო მეტად გამოიხატება ბოლო წლებში ნასესხებ ისეთ ტერმინებში, როგორიცაა ჰეჯირება, ლევერიჯი, დერივატივი, ფიუჩერსი, ფრენჩაიზი და სხვ.

კვლევის უშუალო შედეგებმა გამოავლინა რამდენიმე ტიპის მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი უშუალოდ ტერმინთა დონეზე:

- ტერმინოლოგიური სიჭრელე, კერძოდ ერთსა და იმავე ცნებას ხშირად შეესაბამება რამდენიმე განსხვავებული ფორმა, რაც არღვევს ტერმინოლოგიის უნიფიცირების პრინციპს;
- ტერმინთა შემოქმედებისას ქართული ენის მორფოლოგიური ნორმების უგულებელყოფა, მათ შორის მრავალწევრიანი ტერმინების არასწორად ჩაწერა, უცხო ენების ტრანსლიტერაციის ნორმების დაუცველობა;
- უცხოური ტერმინების სესხება ისეთ შემთხვევებშიც კი, სადაც ამის საჭიროება არ დგას;
- იმგვარი სესხება, რომელიც რიგ შემთხვევებში ხელს უშლის ტერმინის შინაარსობრივ იდენტიფიკაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

- ლეჟავა, ვ. (2022). *ფინანსურ ტერმინთა ლექსიკონი*. თბილისი: თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა.
- მარგალიტაძე, თ. (2018). ტერმინოლოგიური პოლიტიკის საკითხისათვის საქართველოში (პლენარული მოხსენება). კრებულში: *საერთაშორისო კონფერენცია ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - III*. ბათუმი: ბათუმის მოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- მარგალიტაძე, თ. (2023). ფიქრები მშობლიურ ენაზე. თბილისი.
- მელაძე, გ. (2024). ენობრივი ცვლილების ბუნებისათვის (ქართული ნეოლოგიზმების მაგალითზე). საერთაშორისო კონფერენციის კრებულში: *ლექსიკოგრაფია 21-ე საუკუნეში*, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- პაპავა, ვ. (2014). თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია: ახალი პრობლემები და ძველი შეცდომები. კრებულში: *ტერმინოლოგიის საკითხები I*. თბილისი: თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- სადინაძე, რ. (2022–2023). ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის ასპექტები. კრებულში: *ტერმინოლოგიის საკითხები V*. თბილისი: თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- სუთიძე, ლ., იაკობაშვილი, გ. (2016). ტერმინოლოგიის პრობლემები ტექნიკურ სასწავლო ლიტერატურაში. კრებულში: *ტერმინოლოგიის საკითხები II*. თბილისი: თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- სუხიშვილი, თ. (2020). ტერმინოლოგიური პრობლემები ქართულ თარგმანში. კრებულში: *ტერმინოლოგიის საკითხები IV*. თბილისი: თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- ქაროსანიძე, ლ. (2022–2023). ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა საქართველოში. კრებულში: *ტერმინოლოგიის საკითხები V*. თბილისი: თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- ქაროსანიძე, ლ., ხურცილავა, ა. (2018). *ქართული ტერმინთმემოქმედების პრობლემები: ისტორია და თანამედროვეობა*, თბილისი: თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- ხურცილავა, ა. (2016). თანამედროვე ქართული საბანკო ტერმინოლოგიის პრობლემები. კრებულში: *ტერმინოლოგიის საკითხები II*. თბილისი: თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.